ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-125

ქ. თბილისი 19 ივლისი 2019 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის **ბერიკა შუკაკიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: ა(ა)იპ საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის რამაზ ქვათაძის სახით;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204931654;
მისამართი: ქ. თბილისი, ჭოველძის ქ. 10;
საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი; ა/ა: GE76TB7164636080100002; ბანკის კოდი: TBCBGE22

ერთის მხრივ, შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.

1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდის დომენური სახელის, **teacher.org.ge**, ერთი წლით რეგისტრაციის განახლების მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და "GE" დომენის რეგისტრაციის წესებისა და პირობების" (როგორც ეს გამოქვეყნებულია საიტზე www.nic.net.ge) შესაბამისად (შემდგომში "მომსახურება") *(CPV72417000 - ინტერნეტდომენური სახელები).*

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. შესასყიდი მომსახურების საერთო ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 12 (თორმეტი) ლარს.

3.3 **დაფინანსების წყარო:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებები.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველს მომსახურებით, რომელიც გულისხმობს ინტერნეტის საერთაშორისო ქსელში დომენური სახელის (**teacher.org.ge**) რეგისტრაციის განახლებას, ასევე შემსყიდველისათვის დომეინის დროებით სარგებლობაში გადაცემას ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

6.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

6.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;

7.1.2 გაეცნოს და შეასრულოს GE დომენის რეგისტრაციის განახლების და სარგებლობის წესები და პირობები (domain.grena.ge);

7.1.3 მიაწოდოს მიმწოდებელს სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია (domain.grena.ge);

7.1.4 არ დაუშვას მისთვის სარგებლობაში გადაცემული ინტერნეტდომენური სახელით და რეგისტრირებულ ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება;

7.1.5 არ დაუშვას მის მიერ ვებგვედრზე (domain.grena.ge) რეგისტრაციის დროს მითითებული სახელისა და პაროლის გადაცემა მესამე პირებზე;

7.1.6 წინამდებარე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ იმოქმედოს სხვა (მესამე) პირ(ებ)ის დავალებით ან სასარგებლოდ;

7.1.7 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

7.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

7.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.3.2 კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

7.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

7.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

7.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

7.3.7 ნებისმიერ დროს, წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის განმავლობაში, გაუწიოს შემსყიდველს კონსულტაცია დომენური სახელის რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;

7.3.8 განახორციელოს შემსყიდველის დომენური სახელის რეგისტრაცია ინტერნეტის საერთაშორისო ქსელში ან რეგისტრაციის გაგრძელება შემდეგი სახელით: „teacher.org.ge" დომენის რეგისტრაციის წესებისა და პირობების დაცვით და უზრუნველყოს დომენური სახელების აქტიურობა;

7.3.9 უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება, შემსყიდველის მიერ ინფორმაციის მიწოდებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

7.3.10 იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევა მიმწოდებლის მიერ განხორციელდა უხარისხოდ, დაუყოვნებლივ გამოასწოროს უხარისხობა;

7.3.11 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული "GE დომენის რეგისტრაციის წესებისა და პირობების" შეცვლის შემთხვევაში, წინასწარ შეცვლის სასაურველ თარიღამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს და შეუთანხმოს ცვლილებები შემსყიდველს;

7.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფაქტიურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია, რომელსაც ხელი მოეწერება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება შემსყიდველის მიერ ხარისხობრივი შემოწმების და მოწონების შემდეგ და მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4.2 მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;

8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) %-ის ოდენობით;

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუმცირეს ერთი თვით ადრე;

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

9.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.5 ამ მუხლის 9.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია სავარაუდო ცვლილების თარიღამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

10.3. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. ფორსმაჟორი.

11.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3. მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

14.5. წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;

14.6. მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ ელექტრონულად ან დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

მუხლი 15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	ა(ა)იპ საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“
ზერიკა შუკვაკიძე	**რამაზ ქვათაძე**
დირექტორი	აღმასრულებელი დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (ა(ა)იპ „გრენა") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ______________________ */ზ. შუკაკიძე/*

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი ______________________ */ი.ქებისაური/*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი ______________________ */ნ.გ[illegible]ლაშვილი/*